




№ 5 საბუნჯო ჟურნალი

„ნათბალა“ გამოვა დრო-გამოშვებით და დაიბეჭდება ისეთ ქალაქდზე, რა ქალაქდსაც ვიშოვით. რედაქციის მისამართი: თბილისი, სტამბა „სორაპანი“, თეოფილე ბოლქვაძეს. გამყიდველებმა და აგენტებმა უნდა მიმართონ თუილისში კანტორა „განათლებას“.



კომუნისტური მუშტი ადერბეიჯანში.

„სოციალისტურ“ რუსეთმა
მუშტი აღმართა მაგარი,
ადერბეიჯანს უბოძა
„თავისუფლება“ ამ გვარი.

მშრომელთა ხალხი მოსტყუვდა,
ისმის ტირილი, ვაება,
მგონი იქაურ ბეგებსაც
მით ზურგი მოექავება.

და ეხლა ჩვენა გვთავაზომს
ინებეთ, კარგი არიო,
„თავისუფლება“ წითელი,
ლენინის გამომცხვარიო.

სა... ლოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

FL 11350



საქართველოს
საბჭოთაო
საზოგადოებრივი
საინჟინერო-ტექნიკური
საინჟინერო-სტრუქტურული
საინჟინერო-მშენებლობითი
საინჟინერო-საგეოდეზია

ხატისოვის წერილი.

თბილისის ქალაქის სამმართველოს მოხელემ ხახანაშვილმა მიიღო ალექსანდრე ხატისოვისაგან შემდეგი წერილი, რომელიც მოგვყავს სიტყვა-სიტყვით და შეუცვლელათ.

„ამხანაგო! ნუ გაგიკვირდება, რომ ამხანაგს გეძახი მაგრამ იმ დღიდან, ძველი რეჟიმი რომ დაეცა, მე ჩავეწერე ყველა სოციალისტურ პარტიებში. დამნაკელიცა ვარ, სოციალისტ-რევოლიუციონერიც და სოციალ-დემოკრატიც, რაღა თქმა უნდა მენშევიკი (ძირს ბალშევიკები!).

ეხლა, ჩემო ძვირფასო ამხანაგო, შენთან დიდი სათხოვარი საქმე მაქვს. ხომ კარგათ გახსოვს, რომ როცა თბილისის ქალაქის თავათ ვიყავი, ქალაქის გამგეობაში სულ ოთხი ქართველი მსახურებდა და მათ შორის შენ ჩემო ძვირფასო ამხანაგო.

ეხლა გახეთქებში წაიკითხავდი, რომ მე სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეთ ვიყავი, სამწუხაროთ. იმიტომ ვამბობ სამწუხაროთ, რომ მთავრობის თავმჯდომარეობა ჩემი ხელობა არ არის. წაიკითხავდი იმასაც, რომ მე ორი თვის „ოტპუსკი“ ავიღე. შენ მართალს გეტყვი, ამხანაგო. ეს ოტპუსკი კი არ არის, სამსახურიდან დათხოვნაა.

ნუ გაგიკვირდება, ამხანაგო, ეს დათხოვნა. ნურაფერი ნუ გაგიკვირდება. ხომ გაგიგონია, ამხანაგო, დრონი მეფობენო. ისიც ხომ კარგათ იცი, რომ ნათქვამია: „ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო“.

ნუ გაგიკვირდება, რომ მე დაშნაკელი აღარ ვარ და ამ პარტიიდან ამოვირიცხე თავი, მიზეზი? ეხლავე გეტყვი. მე ყოველთვის მიკვირდა, რათ არის ჩემი გვარი ხატისოვი. სომხებიც ჯავრობდნენ: ხატისოვი კი არა ხარ, ხატისიანცი ხარო. და მართლაც ესე მეძახდნენ არარატის მთელ რესპუბლიკაში.

წარმოიდგინე, მხოლოდ ეხლა აღმოჩნდა, რომ მე სომეხი კი არა ვარ ნამდვილი ქართველი ვყოფილვარ. დიად, ნამდვილი ქართველი. და ნამდვილი დემოკრატი, რადგანაც არც თავადი ვარ და არც აზნაური. (ძირს ფეოდალური კლასი! გაუმარჯოს პროლეტარიატს!) ჩემი ნამდვილი გვარია — „ხატის კაცი“. ასე

სწერია ჩვენ საგვარეულო ქალაქებში. რათ მოხდა, რომ „ხატის-კაცი“ ხატისოვით ვადიქცა? ეს სწორეთ ისე მოხდა, როგორც ანდრონიკაშვილებმა და ერისთავებმა გადააკეთეს თვისი გვარები ასე: ანდრონიკოვი, ერისტოვ.

ეხლა ხომ დარწმუნდი, რომ მე ქართველი ვყოფილვარ. სწორეთ ამიტომ მიყვარდა მე საქართველო და თუ ამას ვმალავდი, ეს სულ დაწყევლილი რუსეთის ძველი რეჟიმის ბრალი იყო.

ხომ კარგათ იცი, ამხანაგო, რომ თუმცა საექიმო ფაკულტეტი დავსრულე, მაგრამ მალე დავრწმუნდი, რომ ესეც ისეთი შემთხვევა იყო, როგორც ჩემი სომხობა და დაშნაკობა. ექიმი კი არა, მე ვექილი უნდა ვყოფილიყავი, რადგანაც ენა მოქნილი მაქვს, მჭევრ მეტყველი, და ლაპარაკი ძლიერ მეხერხება და მიყვარს კიდევ. როგორც გრამოფონი არ მოიძვლება, ისე ჩემი ენა. შემოძლიან განუწყვეტლივ ვილაპარაკო დღე და ღამ მთელი კვირის განმავლობაში.

მე კიდევ მეორე ნიჭიც მაქვს — ქალაქის თაობისა. ქალაქის თაობა ჩემი ბედი და ხვედრია. ჯერ ისევე უსუსური ბავშვი ვიყავი, რომ კოდელმა ნინომ დამხედა და სთქვა: „უი ქა! ეს ხომ თბილისის ქალაქის თავიაო“. წინახწარმეტყველება კოდელი ნინოსი აღსრულდა და ხომ კარგათ იცი, რა კარგი ქალაქის თავი ვიყავი და რა მშვენიერ სიტყვებით ვეგებებოდი გუბერნატორებსა, მთავარ-მართებლებს, ხელმწიფის მოადგილეს და თვით ხელმწიფეს ნიკოლაი მეორეს. (ღმერთმა მათი ქოქი გასწყვიტოს).

ეხლა ამხანაგო, რაღა ბევრი თავი მოგაწყინო. აი ჩემი თხოვნა. რადგანაც ეხლა ეჭვი არ უნდა გქონდეს, რომ მე ქართველი ვარ და სოციალ-დემოკრატი, მოდი დამავალე და დამეხმარე, რომ ქალაქის ხმონებმა ამირჩიონ თბილისის ქალაქის თავათ. გეფიცები, რომ ბენია ჩხიკვიშვილზე ნაკლებათ არ შევასრულებ ქალაქის თავობას.

თუ ძველი რეჟიმის დროს ვიყავი ქალაქის საუკეთესო თავათ, ეხლა რაღა ღმერთი გამიწყრება, რომ უკეთესი არ გამოვდგე? ნიჭი მაკლია,

უნარი, მჭევრმეტყველებელი მოქნილობა.

უწინ ხელს მიშლიდნენ პოლიც-მეისტერი, გუბერნატორი და სხვა ბიუროკრატები. ეხლა ქალაქის თავს-მეტი უფლება აქვს.

უწინ მე უკანა კარებიდგან დავძვრებოდი სასახლეში ვორონცოვის ცოლთან, ხელებს ულოკავდი და ისე ვაკეთებდი ქალაქის საქმეებს. ეს ეხლა საჭირო აღარ არის. ეხლა ქალაქის თავს კი არა, სულ უბრალო მუშას შეუძლიან სასახლეს მიადგეს ავტომობილით და პირდაპირ ნოე ჟორდანიას მოახსენოს თავისი თხოვნა.

ნუ გეშინიან, თუ ქალაქის თავათ ამირჩიეს, ბენია ჩხიკვიშვილსაც არ დავტოვებ უადგილოთ, ან ბახარნიკათ დავნიშნავ, ან კრანჩიკათ. ეხლა ხომ ერთობაა და ყველანი თანასწორნი ვართ. ბენია ყველა საქმეში გამოდგება და მეკი მარტო ქალაქის თავათ ვარ გამოსადეგი. შენი ერთგული ამხანაგი... ჰო, კინაღამ დამავიწყდა. თუ შეატყო, რომ პირდაპირ ქალაქის თავათ ჩემი არჩევა საძნელო შეიქმნა, მაშინ გთხოვ დროებით დამნიშნო ქალაქის გარდასახადების ამკრებათ. ეს ხომ შენი საქმეა, რადგანაც ქალაქის გარდასახადების მოკრეფა შენა გაქვს დავალებული.

ნურც ეს გაგიკვირდება. რა ვუყოთ? ხომ იცი, რუსეთის მინისტრი ხილკოვი ჯერ რკინის გზის მაშინისტათ იყო, მერე რკინის გზის დეპოს უფროსათ, მერე გზების დირექტორათ და ბოლოს გზათა მინისტრათ დაინიშნა.

ვასო ჩერქეზიშვილიც ჯერ ქალაქის „აცენჩიკათ“ იყო და მერე აირჩიეს ქალაქის თავათ...

შენ, ამხანაგო, ჯერ „სბორჩიკათ“ დამნიშნე და მერე მე ვიცი, როგორ ჩავიგებ ხელში ქალაქის თავობას. ჯერ ჯერობით კი გაავრცელე, რომ მე ნამდვილი ქართველი ვარ და ჩემი წინაპრები ყველანი ხატისკაცები იყვნენ, ესე იგი საეკლესიო გლეხები. შენი ერთგული ალექსანდრე ივანის ძე ხატის-კაცი. (საეკლესიო გლეხი).

ეს წერილი ხახანაშვილს მოვპარე „ხათაბალაში“ დასაბეჭდათ.

მე გახლავარ.



ქმრის თავგადასაფალი.

(იგავ-არაკი).

იყო კაცი ვართანა,
 მდიდარი და ჭკვიანი,
 ცოლათ შეირთო მარი, — ლამაზი, ეშხიანი.
 გაგიჟებით უყვარდა,
 არაფერს არ აკლებდა,
 წამსვე შეუსრულებდა რასაც მოინატრებდა.
 მაგრამ ცოლი კი მიიცი
 გათხოვებას ნანობდა,
 ქმარი მეტად სასტიკი მახედ იჭვიანობდა.
 არსად არ გაუშვებდა,
 სულ დაზღვედა, მწყესავდა
 და ცოლი კი თვის გულში ოხრავდა და კვნესავდა.
 იმას სხვაი უყვარდა,
 საქმაროთ იგულებდა,
 რა იცოდა თუ ბედი აგრე მოიძულებდა.
 რომ თავის უნებურათ
 დედამამა გაათხოვდა,
 ხვეწნასა და მუდარას ყურს არავინ ათხოვდა,
 რომ თავის საყვარელთან
 დიხანს ვერ დარჩებოდა,
 (თუმცა მდიდარ ქმარს მისცეს მაინც იტანჯებოდა).

ერთხელ მარი გაიცნობს
 ერთ „ექიმბაშ“ დედაბერს
 და თავისსა დარდებსა მოუყვება ყველაფერს:
 მყავდა ერთი ჭაბუკი
 მეტად შეყვარებული,
 იგიც ჩემი გულისთვის იყო გაგიჟებული.
 ხშირათ ერთად ვიყავით
 გულში ჩაკონებული,
 ეხლა იგიც ჩემსავით არის დაღონებული.
 მასწავლე რამ წამალი,
 რა გზას უნდა დავადგე,
 თუ კი რამ შეგიძლია ახლა უნდა წამადგე.

დედაბერმა მას უთხრა
 მე გასწავლი ერთ რამეს:
 შენ ამელამ ლოგინში იკრუსუნე მთელ ლამეს.
 ვითომ ავით გამხდარხარ,
 ვითომც ახლა კვდებია,
 რომ დილაზედ მოგვარონ „ექიმბაში“ ბებია.
 და მე როცა გაგშინჯავ
 საქმეს გამოვასწორებ,—
 შენ საყვარელს შენ გვერდში თვეობითაც ვაგორებ.

ცოლია მართლა იმ ლამეს
 თავი მოიავადა,
 აღარ ქამს და აღარ სვამს კრუსუნებს ერთ თავადა.
 ქმარი მჯავრით გაგიჟდა,
 წამოვარდა ვით რაში
 და დილაზედ მოგვარა ბებერი „ექიმბაში“.

დედაბერმა გასინჯა
 ავადმყოფი მკუთავი
 და ქმარს თვალში ჩაცქერის როგორც სულთამხუთავი.

საქმე ცუდათ წასულა
 შენ ჩემო ძამიო,
 ცოლი შიშმე ავით გყავს დავლა დასცემიო.
 შეიძლება მორჩენა,
 მაგრამ საეჭვოაო,
 სიკვდილს რომ გადაურჩეს ჭკუაზედ ვერ მოვაო.
 მაგას უნდა ვანები
 მთელი თვეობითაო,
 თავსა გადავაცოლებ ჩემის მხნეობითაო.
 მე პრაქტიკა კარგი მაქვს
 დავლა დაცემულზეო,
 ხოლო შენ არ დამიწყო აქ ვაჭრობა ფულზეო.
 ათას მანათს ავიღებ
 მე ჩემს სასყიდელსაო,
 ნაკლებათ კი იცოდე, ვერ მოგვიღებ ხელსაო.
 თუ თანხმა ხარ მაგაზედ
 სიტყვა მომე კარგოო,
 სალამოზედ მოდი და წამომიღე ბარგოო.

—
 რაღას იზამს ვართანა,
 რა დროს სიძუნწე არის
 მისი ცოლი იმისთვის ვარსკვლავი და მზე არის.
 ის უწამლოთ მოუკვდეს
 განა მოსათმენია?!
 თანხმა გახდა ყველაფრის, მეტი რა დარჩენია.

დედაბერი წავიდა
 ბარგის შესაკრელათა,
 ათი ვერსი მანძილი გადირბინა ხელათა.
 დაიბარა იმ წამში
 მან მარის საყვარელი
 და მოუყვა ამბავი, გულის გასახარელი:
 ათას მანათს თუ მომცემ
 ჩემი შრომის ქირასო,
 მარის გვერდით ვაგორებ ბარე ორ სამ კვირასო.
 გაუხარდა ჭაბუკსა,
 უთხრა:—მოგცემ ყველასო,
 მხოლოთ არ გადამიქილო ხიფათსა და ბელასო.
 მას ქმარი ყავს ახმანი,
 მეტათ სასტიკიოო,
 დღე და ღამე მწყესავს ცოლს, იჭვიანიც კიოო.
 მან რომ ხელში ჩამიგდოს
 დოცხალს არ გამიშობსო,
 და გულს რაღაც უხარის, მაგრამწთანაც შიშობსო.
 — ფიქრი ნუ გაქვს მაგისი,
 მე საქმე მაქვს კარგათო,
 შენ მიმყევხარ მარისთან ვითომც ჩემდა ბარგათო.
 მოდი ხელათ ჩაწეკი
 ამ ჩემს კარზინკაშიო,
 მარის ქმარი წავიღებს თავის ზურგით სახლშიო.

—
 მართლაც ჩაწვა ყმაწვილი,
 კარზინკაში მშვიდათა,
 ამ დროს ქმარიც მოვიდა, ბარგის ასაკიდათა.
 სასლისაკენ წაიღო
 სიმწრითა და ქშენითა
 და ოცნებობს გზა და გზა ის ცოლის მორჩენითა.



მოათავსეს „კარზინკა“
 მარას საწოლ ოთახში,
 დედაბერი „აქიმობს“ დაუფსუფსებს ოჯახში.
 „ავადმყოფთან“ ის ზიდავს
 ვახშამსა და სადილსა
 და ამ რიკად უსრულებს იმათ გულის წადილსა.
 გასაღებით ბებერი
 თითონ კეტავს კარებსა.
 ოთახის სიახლოვეს არავის იკარებსა.
 საქმელის მზადებაში
 ქმარსაც კი იხშარიებს
 და უკლავენ ყოველ დღე დედლებსა და ვარიებს.
 ქმარი ამის შემყურე
 მზიარულათ არისა,
 ამბობს: მადა კარგი აქვს ჩემ საყვარელ მარისა.
 საცა არის მორჩენილს
 დაეინახავ თვალითო
 და კვალათ გაეიხარებთ ტკბილი მომავალითო.

ორი კვირა გავიდა
 ასეთ „ექიმობაში“,
 „ავადმყოფმაც“ იჯერა გული ამასობაში,
 დაიქანცნენ ორთავე
 მეტის შრომა—ქშითა
 და „ქორფა“ ვიზიტობაც გაათავეს ამითა.

დედაბერმა ახარა
 ქმარს ცოლისა მორჩენა,
 ჯერ ფული გამოართვა რაც ქონდა გამორჩენა.
 ქაბუკი ჩააწვინა
 ისევ კარზინკაშია
 და საწყალი ვართანა გაუყენა გზაშია.
 თითონ წინ-წინ წავიდა,
 ბეტად აჩქარებული,
 უხარია, რომ არის აგრე მოხერხებული.

გზაში შეხვდენ ვართანას
 ღამის ყარაულები,
 თურმე სადღაც იმ ღამეს გაეტაცნათ ფულები.
 დაეძებდენ უჩალებს,
 მაგნე ქურდ-ზაცაცებსა,
 დაეძებდენ ნიეთებსაც მათგან განატაცებსა.
 დაიჭირეს საწყალი
 თვისი ბარგი-ბარხანით
 და სოფლის კომისართან წაათრიეს ხახანით.
 (დასასრული შემდეგ ნომერში)

გურიანთელი.



— ერივან მოი, ალექსანდროპოლ მოი, ტიფლის
ტოჯე მოი ბუდათ.



— ეჰ, დროებაჲ!.. აღერბეჯანიც კი გვემუქრება!.



- მოშკა! არა გცხვენია?! ეგრე რათ დამთვრალხარ?!!
- დარდსაგან ჩემო კარგო, დარდისაგან. კაბაკში მითხრეს კომუნისტი უნდა გახეთ შენცა და შენი ცოლიცო! მე ჩემი თავი არ მენანება მაგრამ შენ რომ „ვსეობში“ გახდები, ეს კი ჭკუაში არ მომდის...

სურათები

(ჭიათურისათვის)

მე მგონია მისთვის სუფევს
მწერლობა და იმორი,
რომ მკითხველებს მიაწოდოს
სურათი და სიტყვა სწორი...
მეც ამ ხანათ სახეში მყავს
ერთი ვინმე ორატორი.

რომ ის კრებას არ დაესწრო
გაგონილა?. სად ნახულა,
ყოველ სხდომის, ყოველ კრების
ყველა კარი ინახულა!.

პირველ რიგში ჩაბრძანდება
ძლიერ შფოთავს არ წყნარდება,
მხოლოდ მაშინ „გენიოსობს“
როს საკითხი გამწვავდება!.

თქვენ გგონიათ ამას სჩადის
რამე დიად საქმისათვის?
ყველამ ვიცით თავს იწუხებს
მხოლოდ ლაპარაკისათვის!.

ამით უნდა ხალხსა ჰქონდეს
მახედ დიდი წარმოდგენა,

და ამისთვის უთავბოლოთ
არიხინოს თვისი ენა!

როდის უყო იგი საკითხს
უკან აღარ დაუბრუნდა?
თუმცა ხშირათ მისი „რეჩი“
ჩაუფლავდა, გაუხუნდა!..

შოთამა სთქვა: მოშაირე
არა ჰქვიან ვინც სთქვა ორი,
ვინც სიტყვები შეაწება
ერთმანეთის განაშორი,
ძლიერ ხშირად ამასა ჰგავს
ეს უბადლო ორატორი!

მე მგონია ამ ყმაწვილსაც
სათითაოთ იცნობთ ყველა,
მისმა მეტმა ლაპარაკმა
ამიტება სურდო-ხველა,
ამ ბოლო დროს როგორც იცით
ჯიბეებიც ჩაისქელა!.

მაშ მკითხველო, თუკი მიხვდი
აწი ტყვილა რაზედ ვხატო?
უფლება მაქვს შემდეგშიაც
კიდევ ბევრი მოვუმატო..

ჭიათურელი ეშმაკი.



მესტვირული.

დავბერდი, ბევრიც დავსცადე
ავი და ვასაქირია,
აწ დავსვენებას ვლამობდი,
გაჩნდა ახალი ჭირია.
„ქრისტიანსა“ და ურჯულოს
შეუკრავთ ერთი პირია,
(უნდათ რომ თავისუფლებას
გამოუთხარონ ძირია).

ძმა ძმაზედ მოდის მგლურათა,
მთლათ დაბნევიან დავთარი,
შავებთან შეუღლებულნი
ეგ ცოფიანი აფთარი.
ზეცას ვადაპკრა ლიმოსი,
კმუნვარებს მწვანე მთა-ბარი,
ქუჩებში ფხცა-ფუცია,
ზარებს ვაუდის ზანზარი.

თავისუფლების მცველებსა
კვალათ იწვევენ ლაშკრათა,
მიდიან პირველ ძახილზე
მოსართავ-შესაკაზმათა.
მიდიან მტერთან სასწრაფოთ
ვინ ცალკე, ზოგნი რაზმათა.
რომ მამულს თავი შესწირონ
ზვარაკათ, აიაზმათა.

მღერიან გმირულ სიმღერას
ქვეყნისა ვასაგონათა:
„თავისუფლება გვწყურია,
არა გვსურს ყოფნა მონათა.
შევერთდეთ ამხანაგებო,
ვითარცა ვარდის კონათა,
მოყვრების ვასახარებლათ
და მტრების დასაღონათა.“

ყველა ბრიყვი და ყაჩაღი
გვიბირებს აოხრებასა!..
მომხთურს რომ დავხვდეთ, ზოგ-ზოგი
შინ გვიწყობს ამბოხებასა!..
ჩვენ ვერ ვავყვებით ზოგ-ზოგთა
გაბრიყვებულთა მცნებასა
და საქართველოს მოსპობის
ვერავის მივცემთ ნებასო.

მოხუცდა გული, მატულობს
სიჩუყესა და ძგერასა,
ვარსა ყოფს მხეცურ სიკვდილის
მაგვარ სურათის მზერასა.
ვით ქრისტეს, მინდა მშვიდობა,
მაგრამ ვაყრუვდა ქვეყანა,
არც ღმერთი ღმერთობს, არც ზეცა,
სისხლის სუნი სდგას ყველგანა.

ბარემ შავ-ბნელო ქვესკნელო,
გახსენ უძლომი პირია.
შთანთქმევი ტომი ადამთა,
თან მეც და ჩემი სტვირია.

ძველი.

გურული სცენა.

სხვაი კაფერი ჯავრი გამტკლევდა
და გამასივებდა კაკალ გულზე რომ
ამ მობალშენიკო გურულებს არ
მივეჯაყე და მივეკირცხე კაკალი
კაცი ქოყანაში. დედავ რავა არ
გაფწები ნაკერავზე როიცხა უყურებ
იგენის ქვეყნის საჯაყ ბეჭტურს.
მიღღემში რომ საჯევახოს არ გაცი-
ლებია, გამუა აგერ იმისანა ყაზი-
ლარი და დავიწყებს ტიკტიკს ჟორ-
დანას და კაუცკის პოლიტიკაზე,
მერე ამისანა იმისანას გეტყვის რომ
შამოგახეთქავს კაკალ გულზე: —
„იგენმა ცოციალიზმს უღალატა და
ბურჯიებს მიეფხრენო, ჩვენ პრაგრა-
მაში გვეწერა გლახებს მიწა მიეცემა
და თავრობამ მოცემის მაგიორათ,
რომელიცხე გვქონდა იმაზეც კონ-
ტრიბუციე დავვადგო“. ახლა ვინც
ამისთანა საარაკოს იტყვის უნდა
ეილო დიდი ტუკი და შვლჰო კო-
ხორა თავზე. რეიზა ვერ მიხვთა
მაი ცოდვის შვილები, რომ ჩვენი
თავრობა მიწას ვისაც უნდა ყველას
თავზე საყარათ აძლევს: ყარაიაზში,
სიღნაღში, ახალციხეში და სხოგან.
თუ იი უნდებიენ რომ ჩვენმა თავ-
რობამ გოდრით ჩოუტანოს ეზოში?
ჰე ძამიებო, მაი წაბალშენიკო ხალხი

რომ ხართ დაანებეთ მაქ...
თავი, შეაფურტნეთ...
და ჩვენი თავრობის გამოცხადებულ
მობილიზაციაზე გამოცხადდით. და-
პრაწეთ კუტა ყველამ სამსონეს ხა-
რივით ჯილისისხო თვალები თვარა
თუ მევიდა ქემელ-ფაშა-ლენინი,
მაშინ უყურე რომ გდუზავს და გდუ-
ზავს ცოციალიზმის ყუმბარებს და
გაგიჩთება ოჯახში „უპერანგო“ ქალ-
ბაღანაის წრიპინი და ჩხივილი.

ტირიპიჭი.



დეკეზა.

(არამკითხვს სააგენტოსაგან).

ქ. ლანჩუთი. გამოცხადდა სა-
ნოვაგეზე ნიხრის სააღყო წესები,
ღენერალ-ღუბერნატორათ არჩეულ
იქნმა მილიციონერი იმნაძე. დავე-
ლა მოქალაქეებისადმი უზრდელი
მოპყრობა. ქყინტი გადახელილების
დატყვეებისათვის და მეგრელების
მასაჯისათვის გამგეობის მიერ წარ-
დგენილ იქნმა იმნაძე ვაშლის
ჯვარზე.

გამოცანები.

(ქიათურისათვის).

1

ისეც ვაიგებთ ვინ ირის,
რომ არ ვსთქვა მისი სახელი,
მისებრი „პარაზიტისა“
არავინ არის მნახველი.
მან დაითხოვა მუშები
რიცხვით ცამეტი კაცია,
(წინასწარ გაუფრთხილებლათ
მოუწყო მახინაცია).
კავშირის წინადადებით
იგი დაღონდა მწარეთა,
(ლიკვიდაციის მიცემით
შეიქნა გულმწუხარეთა)!
ფიქრობდა: მუშათ კავშირი
არ მიეჩნია არათა...
ადამიანურ ღირსებას
გაჰკიდის ერთ-გროშ ფარათა!.
(მათრახის კუდი გადაეკრათ
დამშვიდებულათ, წყნარათა!)



2

აბა ვინ არის ვაიგეთ
მისი გვარი და სახელი,
(ცხრაას ცამეტი წლიდანა
მაზედ ბევრი გვაქვს სათქმელი...)

მტერია მშომელ ხალხისა
და ბურჟუების დამცველი...
ერთ ვინმეს გამოესარჩლა
ბრაზით მოადგა თვალს ცრემლი...

სოციალისტებს დასცინის
ირონიულის ღრეკითა,
სიბნელის მოციქულია,
სინათლეს უცქერს ეჭვითა!

საჭირო არის მაგასაც
მათრახი მოვცხოთ მაგრათა,
მაშინ კი მშრომელ მუშებსა
ველარ აიგდებს მასხრათა.

ლაფონ-ტეფოშვილი.

დაბა-სოფლები.

ღანი-ჭაგანი.

მინდა რომ ვაუწყო
მკითხველსა ამბავი—
ამბავი საზარი
და გულის საკლავი.
თან სული მიღელავს,
თან ცრემლი მერევა
და ფიქრი დიადი
მემტვრევა-მემსხვრევა.

სამშაბათ საღამოს,
როს მზე კვლავ ბრწყინავდა,
როს სხივი დამთვრალი
ცის თაღზე ფრინავდა.

როს სიო ცელქობდა,
მთა ველათ დაჰქროდა,
როს ნაძვი და ძეწნა
ხალხს სუნით ათრობდა.

როს ირგვლივ ისმოდა
ხმა ტკბილი, ნარნარი,
როს ნაზი ქალწული
მღეროდა დამტკბარი.

როს თავი ბაზრისა
თეატრსა ნატრობდა
და მისთვის წითელი
აზრებსა აწყობდა.

როს სოფლის მუშაკნი:
კომისარ-მდივანი,
მიჰქროდენ სადაც არს
მოსიეს დუქანი —
უეცრივ შეინძრა
ექიმის ბჭე-კარი,
ესტუმრა მტერს—მტერი,
„ისპანკა“ მაგარი.

დაუწყო ალერსი
ჯერ ნაზი და ტკბილი,
შემდეგ კი წაკიდა
მას ხელი და კბილი—
ეს სოფლის რაინდი
სოფლისვე დიდ ძალა,
მოგვტაცა ურჯულომ
და სადღაც დამალა.

მას შემდეგ სულ ვეძებთ
მაგრამ ვერ ვიპოვეთ—
რამდენი ტანჯვები
თავზე არ ვითოვეთ.

და ვხლა ბეშტიავ!
შენთან ვართ მოსული,
„ისპანკის“ წყალობით
წყლულვებით მოცული.
რალა გქნათ, არ ვიცით,
არცა ვართ მიმხედარი,
იქნება შენ იცი,
სად არის გვითხარი?

ჭაგნელი ბზიკი.

შერეული ლექსი

(ე. ი. მეგრულ-ქართულ ენაზე).

ჰერი, ჰერი, ჰერი, ჰერი,
იმიერი—ამიერი,
ქალი მოდის მშვენიერი,
პაპა, მალაზონ და ბერი;
მრუციანი განიერი,
გვალა ჯგირი სახიერი,
მის შეხედვით დავითვერი,
ისე როგორც ჩვენი მერი,
დამეკარგა მე მთლად ფერი,
(მადლოს მოგიძღვი თუ იმღერი),
მრავალ მრავალ ქამიერი) ..

ა, ჩაგუნა და ჩაგუნა,
სქვამი მოჰყუდუ ვაბუნა,
ხომ ხედავ როგორ სხაბუნა,
დიტოს ყუღეშა ვაყუნა,
ასე რამ დაგაძაბუნა;
დილამშვიდობის „ბუტუნა“,
თი ბალშევიკებს ღუბუნა;
„დენიკინ“ დოუთქუთქუნა...
ეს ქართველები ირგუნა...

ვა! ვა! ვა! ვა! გური, გური,
მომისწარი ინდოური;
აბა დაჰკარ ის ჩონგური,
მითხარ რამე საყვედური;
ღვინო მასვას ერთი ქური,
გინდ შმპანსკი, გინდ კახური.
წყალიც იყოს უცნაური,
ხელში მომცეს ქიანური.
ისიც კილო შინაური;
ვაჰ! დენიკინს ნახური...

გოუ ჩელა სიჩერჩელა, **ქრონოსული**
ნეტავი რამ გამაშტერა, **ბიბლიოთეკა**
არ მინახავს ჩემი „ერა“
და მისი ტკბილი სიმღერა.
ტაში ტუში ოდელ-დელა,
დუქვანქვალე ნელა ნელა;
როგორც მარი „ხაბუმელა“
ქიქე ცირა ცუგრუმელა,
არ გეგონოს ოჩა მელა;
გახლავს ჩვენი „მარიკელა“.


კაკო ხაბუმელი.

ღია წერილი

გამოჩინებულის თემის თავმჯდომარეს.
„ხათაბალას“ № 3-ში მოთავსე-
ბული იყო დებეშა ვილაც გონჯის
შიერ, გამოჩინებულის თემის თავმ-
ჯდომარის დაკარგვის შესახებ. წაკით-
ხვისათნავე თქვენ შესდგომიხართ
ავტორის ძებნას და ეჭვი აგიღიათ
ჩემზე, ვითომ მე დამეწეროს და
ამავე ჟურნალის № 4-ში ვკითხუ-
ლობ თქვენ განცხადებას, რომელ-
შიდაც მე გამოგყავარ იმ დებეშის
ავტორათ. ამის შესახებ უნდა მო-
გახსენოთ ერთი ქართული ანდაზა:
„ასჯერ გაზომე, ერთხელ გასჭერიო“.
საქმე ის არის, რომ, როდესაც ვინ-
მეს ბრალს სდებთ რაიმე საქმეში
რაგინდ უმნიშვნელო იყოს ის, სა-
ჭიროა ხელთ გქონდეს უტყუარი
საბუთები ბრალდების დასამტკიცებ-
ლათ, თორემ „ჰაერზე მოფიქრებუ-
ლი“ ჰაერშივე გაიფანტება. ჟურნალ
„ხათაბალასთან“ მე არავითარი და-
მოკიდებულება დღემდის არ მქონია,
რასაც დაამტკიცებს თვით რედაქ-
ციაც. ცრუ ბრალდებისთვის ნურას
უკაცრავათ რომ გთხოვოთ „უკანვე
წაიღეთ თქვენი ბრალდება“ თქო,
და ამის შემდეგ კი უფლება გექნე-
ბათ შეუდგეთ იმ დებეშის ავტორის
ძებნას.

თედ. თარგამაძე.

გამოწმებთ, რომ თედ. თარგამაძე
არ არის ზემოაღნიშნულ დებეშის
ავტორი.
„ხათაბალას“ რედაქცია.





რკინის გზის სამმართველოს კოლპერატივი.



რკინის გზელი. არც თული ჯიბეში, არც საქონელი კოლპერატივში, ნეტავი რისთვის ვდგევარ იჩერედში!..

რკინის გზის რამე-რუმე.

ყველა სავაჭროებში სასურსათო კომიტეტისა მიღებულია და ურიგდება მუშა-მოსამსახურებს აუარებელი შაქარი, მშვენიერი ღირსებისა. ამის გამო ბაზარზე შაქრის ფასმა შესამჩნევლად დაიწია. რიგდება აგრეთვე აუარებელი მანუფაქტურა, ინგლისური ხალათები, ფეხსაცმელები... საქონელი ისეა განაწილებული, რომ აუცილებლად ყველა მუშა-მოსამსახურეს უნდა ერგოს საყოფი. მაგრამ დახეთ მათ დაუდევრობას! მიუხედავად იმისა, რომ ყველას ფული თავზე საყრელი აქვს და საქონელიც თითქმის ისპანახის ფასად არის დაფასებული, მუშა-მოსამსახურენი არ იძენენ საქონელს! ხმები დადის, რომ სასურსათო კომიტეტი მალე სრულიად უფასოდ დაარიგებს მანუფაქტურასო და აღბათ ამითი აიხსნება მოსამსახურეთა გულგრილობა.

— სასურსათო კომიტეტმა მიიღო გაზაფხულის „პლაშჩები“. რადგანაც

იგინი ძლიერ კარგი გამოდგენ, დაურიგეს ყველა მუშა-მოსამსახურეს, ხოლო არც სასურსათო კომიტეტის წევრებს და არც ცენტრალური გამგეობის წევრებს არ აუღიათ. მოსაწონია მათი ასეთი დათმობა. დეე, გაიგონ ყველამ, თუ როგორ იკლებენ ყველაფერს ჩვენი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, თავის მოძმე მუშა-მოსამსახურეთა სასარგებლოთ.

— ადმინისტრაციას გადაუწყვეტია დააკანონოს და ყოველ წელს, აღდგომის შემდეგ მისცეს ყველა მუშა-მოსამსახურეთ ერთ-დროული საჩუქარი, თვიური ჯამაგირის ოდენი, ისე, როგორც გასულ აღდგომას დაურიგა.

— 1 მაისს ნაძალადეგში გახსნილიქმნა მუშათა კლუბი. მას შემდეგ ყოველ დილა-სადამოს იმართება წარმოდგენები, კონცერტები, ოპერები ყოველ-ნაირ ენაზე. ნაძალადევის მუშები აღტაცებაში არიან.

გ. ვარდენიშვილი.

გამოცანა

სუფსიელებს მოეახსენებ მცირე ასახსნელასო, ერთი ბიჭი საქმით კოტრი ენახვება ყველასო.

დუქნების წინ დაყიალობს, ეძებს საცუცქნელასო, ბნელი საქმე ისე უყვარს როგორც ხვრელი მელასო.

არცა ხნავს და არცა სთესავს არც სხვა აძლევს შევლასო, მაგრამ იმას თქვენ ვერ ნახავთ მშიერს, ტანშიშველასო.

რომ ექებოთ ვერ იპოვნით მისებრ ცრუ-პენტელასო, მართალ კაცებს ლანძღავს, აქებს—ქურდებს, შანტაჟელასო.

მისი წესი კარტის წყობა არის—ცარცვავს ყველასო და ბნელ საქითა შოულობს სახრავ-საცოხნელასო.

მით ქეიფობს და იძახის ყველგან ორაბელასო. სახელს გეტყვით ვერ მიხვთებით ოდელია დელასო.

ოლოლე.